საქართველოს კანონში

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“

ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე #) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლელებები და დამატებები:

1. **მე-7 მუხლის მე-6 ნაწილს დაემატოს ,,ა.ზ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ა.ზ) მკაცრად დაცული და დაცული სახეობების გარემოდან ამოღების საჭიროება.“

2. **მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან, ზურმუხტის ტერირტორიასთან, ბიოსფერულ რეზერვატთან, მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანთან და გეოპარკებთან;“

3. **მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ბ.გ) ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია მკაცრად დაცული და დაცული სახეობები;

4. **მე-8 მუხლის მე-3 ნაწილს დაემატოს ,,ბ.დ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ბ.დ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ჭარბტენიან ტერიტორიზე, ზურმუხტის ტერირტორიაზე, ბიოსფერულ რეზერვატზე, მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანზე და გეოპარკების ტერიტორიაზე ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“

1. **მე-10 მუხლის მე-3 ნაწილს დაემატოს ,,$გ^1$“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,$გ^1$) დასაბუთებას მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების გარემოდან ამოღების აუცილებლობის შესახებ და მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების აღრიცხვის ანგარიშს (ჩამონათვალი, ოდენობები, დასკვნას მდგომარეობის შესახებ), თუ კი საქმიანობის განხორციელება ითვალისწინებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ საქართელოს კანონით

მკაცრად დაცული და დაცული ველური მცენარეების ან მათი ნაწილების გარემოდან ამოღებას.“

2. **მე-10 მუხლის მე-4 ნაწილს დაემატოს ,,ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ვ. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების, თუ ეს მოთხოვნა დადგენილია სკოპინგის დასკვნის ფარგლებში.““

3. **მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის დაემატოს ,,დ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,დ. ზურმუხტის ტერიტორიაზე ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბიომრავალფეროვნების შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის ან 51-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისად მიღების შესახებ“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის შემუშავების მიზანია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთნ შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ბიომრავალფეროვნების სფეროში არსებული საკანონმდებლო აქტების ბიომრავალფეროვნების დაცვის, შენარჩუნებისა და მდგრადი მართვის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავდა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. საქართველოს კანონში ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის მომზადების აუცილებლობა გამოწვეულია ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავებით, რომელიც ადგენს საკანონმდებლო ვალდებულებას საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი აღნიშნულ კანონთან.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის შემუშავება ემსახურება საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანას, რომლის თანახმადაც მკაცრად დაცული და დაცული სახეობების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებული ხდება დაიცვას საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

კანონპროექტის მიზანია შექმნას ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის მყარი სამართლებრივი საფუძვლები, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა, მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების განსახორციელებლად სახეობებისა და ჰაბიატების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრულია ველური მცენარეებისა და სოკოების მკაცრად დაცული და დაცული სახეობების გარემოდან ამოღების საგამონაკლისო საფუძვლები. მაგალითად, სხვადასხვა საქმიანობების განხორციელების დროს შესაძლებელია მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ცალკეული ინდივიდების გარემოდან ამოღება, რაც უნდა მოხდეს შესაბამისი შეფასების და აღდგენის/კომპენსაციის საფუძველზე.

საქართველოს კანონში ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ცვლილებების პროექტის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის ,,ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, სკრინინგის განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებს, ევემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს, დაემატა მკაცრად დაცული და დაცული სახეობების გარემოდან ამოღების დასაშვებობის საკითხი.

კანონის პროექტის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ჩამონათვალი, რომელიც უნდა აისახოს სამინისტროს გადაწყვეტილებაში განისაზღვრა შემდეგნაირად: ,ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია დაცული და მკაცრად დაცული სახეობები, ხოლო ,,ბ.ა“. ქვეპუნქტში დაემატა ,,ზურმუხტის ტერირტორიასთან, ბიოსფერულ რეზერვატთან და მსოფლიო მემკვიდრეობის უბანთან.“ მოცემული ჩამონათვალი განპირობებულია ,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის სფეროში ზურმუხტის ტერირტორიის, ბიოსფერულ რეზერვატის და მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის მართვის საკითხების შემოტანით.

,,ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით დადგენილია ტერიტორიების იდენტიფიცირებს ზურმუხტის ქსელში მათი ჩართვის მიზნით. თუ საქმიანობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ზურმუხტის ტერიტორიის ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ფარგლებში დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატებზე საქმიანობა ექვემდებარება ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას. თუ საქმიანობა მიეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართის საქმიანობას, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საფუძველზე ჩატარებული სკოპინგის ფარგლებში უნდა დადგინდეს საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შესაძლებლობა. თუ კი სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა ითხოვს საქმიანობის

ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ამ შეფასების შედეგები აისახება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშში. იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა მიეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართის საქმიანობას, თუ საქმიანობის სკრინინგის ფარგლებში არ გამოირიცხა საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შესაძლებლობა, საქმიანობა აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების შედეგები აისახება გზშ-ს ანგარიშში. მე-8 მუხლის მე-3 ნაწილს დაემატა ,,ბ.დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც სკოპინგის ანგარიშში უნდა მოხვდეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კანონპროექტის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილს დაემატა ,,გ[1]“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენს ვალდებულებას გზშ-ს ანგარიშში აისახოს დასაბუთება მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების გარემოდან ამოღების აუცილებლობის შესახებ და მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების აღრიცხვის ანგარიში (ჩამონათვალი, ოდენობები, დასკვნას მდგომარეობის შესახებ), თუ კი საქმიანობის განხორციელება ითვალისწინებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ საქართველოს კანონით დაცული მკაცრად დაცული და დაცული ველური მცენარეების ან მათი ნაწილების გარემოდან ამოღებას. კანონპროექტის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილს ემატება ,,ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, გზშ-ს ანგარიშს უნდა დაერთოს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება, თუ ეს მოთხოვნა დადგენილია სკოპინგის დასკვნის ფარგლებში. კანონპროექტის თანამად, მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის დაემატა ,,დ“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებაში ასახოს ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშივნელოვანი ზემოქმედების ან საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონის 36-ე მუხლის ან 51-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისად მიღების შესახებ.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

არ ითხოვს

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/ შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა